

ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში

ოლეგ შატბერაშვილი

1. შესავალი

2009 წლის დეკემბერში ევროკავშირის *სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის საბჭომ* განიხილა¹ ევროპის *საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში (ესპ)*² შესატანი ცვლილებების საკითხი. კერძოდ, იხილებოდა *ესპ* გაუმჯობესება ს/მ კონკურენტუნარიანობის გაზრდის, გარემოს დაცვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. გარდა ამისა, განხილულ იქნა *ესპ* საერთო გამარტივების საკითხი. ცვლილებები ასახავს მიმდინარე *ლისაბონის პროცესის* მოთხოვნებსა და, აგრეთვე, 2020 წლამდე საინოვაციო პოლიტიკაში მოსალოდნელ ტენდენციებს. ევროპაში ექსპერტები, მათ შორის *სოფლის მეურნეობისა და აგრარული განვითარების კომისიონერი*, აცხადებენ, რომ თუ ევროპის სოფლის მეურნეობა არ დაადგება განახლებისა და ინოვაციის გზას, იგი კონკურენციას ვერ გაუძლებს.

შეიძლება მოგვე ვენოს, რომ ეს გადაჭარბებაა. მართლაც, ევროპის სოფლის მეურნეობას, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ გაფართოების პროცესში მას შედარებით ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ჯგუფი შეუერთდა, ძალიან მაღალი მაჩვენებლები აქვს: 2007 წელს სოფლის მეურნეობამ, მეტყვეობასთან და მეთევზეობასთან ერთად, აწარმოა დაახლოებით 400 მლრდ ევროს პროდუქცია (აქედან ს/მ - 375 მლრდ ევრო), მოახდინა 70 მლრდ ევროს ექსპორტი. მან, კვების მრეწველობასთან (900 მლრდ ევრო) ერთად, ევროკავშირის მშპ-ს 12% აწარმოა³.

ევროგაერთიანებამ წარმატებით გადაწყვიტა გაფართოების ამოცანა, რომელიც სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი მრავალრიცხოვანი საკითხის მოგვარებას გულისხმობდა⁴. ახლადმიღებული ქვეყნები განსხვავდებოდნენ "ძველი" ქვეყნებისგან: სურსათის ფასებით;

¹ 2986th Council meeting. Agriculture and Fisheries. Brussels, 14-16 December 2009. COUNCIL OF THE EUROPEAN UNION. PRESS RELEASE, 17488/09 (Presse 375)

² The Common Agricultural Policy Explained. European Commission, DG Agriculture and Rural Development, Publications Office, Brussels, 2008. pp.19. (<http://ec.europa.eu/agriculture/>)

³ საიტები სადაც ეს და სხვა სტატისტიკური ინფორმაცია მოიძებნება: epp.eurostat.ec.europa.eu; ec.europa.eu/agriculture/lisbon/index_en.htm; ec.europa.eu/enterprise/sectors/food/index_en.htm; www.ciaa.be/asp/index.asp.

⁴ ამისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა SAPARD (Special Accession Programme for Agriculture and Rural Development) რომლითაც ევროკავშირი ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევდა კანდიდატ ქვეყნებს ევროკავშირში შესასვლელად მომზადებაში. COUNCIL REGULATION (EC) No 1268/1999 of 21 June 1999 on Community support for pre-accession measures for agriculture and rural development in the applicant countries of central and eastern Europe in the pre-accession period. Official Journal of the European Communities, L 161/87, 26.6.1999

პროდუქციის ხარისხით; შრომის ნაყოფიერებით; დასაქმების დონითა და სტრუქტურით (რამდენიმე ახალ ქვეყანაში იმდენივე ფერმერი იყო, რამდენიც ევროკავშირ-15-ში მთლიანად); ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის საკითხების მოგვარებით. გარდა ამისა, გადაწყვეტილ იქნა პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხები, როგორცაა: ახალი ქვეყნებისთვის ევროკავშირის ბიუჯეტის ხარჯების დადგენა; მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან (მეო) ურთიერთქმედება⁵. ეს ურთიერთქმედება ტრადიციულად რთული საკითხი იყო ჯერ კიდევ ევროგაერთიანებისთვის და შემდგომ ევროკავშირისთვის, რადგანაც მასში მიღებული ფერმერთა სუბსიდირებისა და პროდუქციის შესასყიდი ფასების ცენტრალიზებული რეგულირების სისტემა (იხ. ქვემოთ) მეო-სა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კრიტიკას იწვევს, როგორც თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დარღვევა⁶.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა, ევროკავშირში თვლიან, რომ ს/ს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. იგი ინოვაციისა და მდგრადობის მიმართულებით უნდა წავიდეს, რადგანაც ერთი მხრივ, სუბსიდირებით ფერმერებისთვის შექმნილი "სათბურის" პირობების შენარჩუნება შეუძლებელი ხდება, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი გამოწვევები აღმოცენდა: მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილების პირობებში; ორგანული ს/მ განვითარება; სურსათზე ფასების ზრდა; ბიოსაწვავის წარმოების აუცილებლობა და სხვ.

2. ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (CAP)⁷

ევროკავშირის დონეზე სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ცნობილია *ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (ესპ)* სახელით. იგი ჯერ კიდევ 1957 წელს ევროგაერთიანების შესახებ *რომის შეთანხმებით* განისაზღვრა და მისი მიზანი იყო

- 1) სურსათის სტაბილური მოწოდება მისაღებ ფასად;
- 2) ფერმერებისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფა;
- 3) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაყოფიერების გაზრდა ტექნიკური პროგრესის გზით.

როგორც ვხედავთ, ტექნიკური პროგრესი თავიდანვე იყო ს/ს პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიმართულება. წლების განმავლობაში *ესპ* მრავალი ცვლილება განიცადა.

⁵ Swinnen, J. Eastern Enlargement of the EU and its Implications for Agriculture and Agricultural Policies*. Acta Agric. Scand., Sect. C, Food Economics 1: 5_ 11, 2004. # 2004 Taylor & Francis.

⁶ KYM ANDERSON and TIM JOSLING. The EU's Common Agricultural Policy at Fifty: An International Perspective. CEPR POLICY INSIGHT No. 13, SEPTEMBER 2007. <http://www.cepr.org/pubs/policyinsights/PolicyInsight13.pdf>

⁷ Common Agriculture Policy

ამჟამად მასში ასახულია *ლისაბონის პროცესის* სულისკვეთება - ზრდისა და მეტი სამუშაო ადგილისკენ სწრაფვა, - და ძირითადი მოთხოვნები ინოვაციის, განათლების, საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისა და სხვა სფეროების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ *ლისაბონის სტრატეგია* ისეთივე სამართლიანია სოფლის მეურნეობისთვის, როგორც ინდუსტრიული სექტორისთვის⁸.

ყველა წევრი სახელმწიფო ადვილად თანხმდება, რომ ს/ს პოლიტიკა *ერთიანი* უნდა იყოს⁹. ეს განხორციელებაზე ევროკავშირის ბიუჯეტის ნახევარი იხარჯება (დაახლოებით 50 მლრდ ევრო წლიურად). ამდენად ეს პოლიტიკა ევროინტეგრაციის ერთერთი უძლიერესი მექანიზმია (საბაჟო სივრცესთან, უვიზო გადაადგილებასთან და საერთო ფულთან ერთად). ესაა სექტორი, სადაც ქვეყნების პოლიტიკა შეთანხმებულია და დიდწილად ევროკომისიის მიერ იმართება. თუ გავიხსენებთ, რომ ს/მ საერთოევროპული წარმოების შედარებით მცირე ნაწილი უკავია¹⁰, ასეთი ყურადღება ს/მ და, საერთოდ, სოფლის განვითარების მიმართ, მიანიშნებს, რომ მისი მნიშვნელობა ევროპისთვის შორს სცდება პროდუქციის მოცულობით გამოხატულ ფასეულობას.

ტიპიური ს/ს წარმოების მოცულობა, თითოეულ მომუშავეზე შემოსავლის დონე და წარმოებაში ჩართულ ადამიანთა რიცხვი მცირეა (საშუალო ევროპული ფერმის წლიური შემოსავალი დაახლოებით 35,000 ევროა), რაც მას კვლევისა და შემუშავების საკუთარი ძალებით ჩატარების საშუალებას არ აძლევს. კვლევებისთვის ევროგაერთიანება¹¹ ჩარჩო პროგრამებში ითვალისწინებდა სახსრებს. ეს, წევრი ქვეყნების ს/ს კვლევის პროგრამებთან ერთად (იხ. ქვემოთ), ევროკავშირში კვლევის საჭირო დონეს ქმნიდა. კვლევის შედეგების ფერმერებამდე დაყვანა იყო ევროკომისიის მთავარი საზრუნავი. სათანადო მექანიზმებს (სამსახურებს), რომელსაც მსოფლიოში იქსტენშენს (exstension) უწოდებენ, ხოლო ევროკავშირში უფრო ხშირად მრჩეველთა სამსახურებს (advisory services), წევრი სახელმწიფოები და რეგიონული მთავრობები ქმნიდნენ.

⁸ Putting rural development to work for jobs and growth. Special Edition Newsletter. Directorate-General for Agriculture and Rural Development, European Commission, 2005 (http://ec.europa.eu/agriculture/publi/newsletter/lisbon/special_en.pdf)

⁹ განსხვავებით ზოგიერთი სხვა სფეროსგან, სადაც ერთიანი პოლიტიკისა თუ სივრცის საკითხები გადაუწყვეტელია (მაგალითად, საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში).

¹⁰ ს/მ ყველაზე მაღალი წილი მშპ-ში აქვთ ბულგარეთს (9%), რუმინეთს (6%) და საბერძნეთს (4.7%).

¹¹ ევროგაერთიანება – 1993 წლამდე, შემდეგ – ევროკავშირი.

ეს თავდაპირველად კონცენტრირებული იყო ს/ს წარმოების ზრდაზე, უხდიდა რა ფერმერებს წარმოების ზრდისთვის და შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. სოფლად მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა ქვეყნისთვის მისი რეკრეაციული და სოციალური მნიშვნელობის შენარ უნებას ნიშნავს. აგროპროდუქტები ევროპის ქვეყნების იმიჯისა და ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვანი ელემენტია (ძნელი წარმოსადგენია საფრანგეთი ღვინისა და კონიაკის, ჰოლანდია ყველის, გერმანია და ჩეხეთი ლუდის გარეშე). სოფლის მეურნეობის მიმართ ყურადღებას ამბავრებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა¹². ძლიერი ფაქტორი გახდა ევროკავშირის ვალდებულება შეამციროს ნახშირორქანგის ემისია და ამ მიზნით გაზარდოს ბიოსაწვავის წარმოება (ეს საკითხი ევროკავშირის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასთანაცაა გადაჯაჭვული).

ეს მრავალწლიანი არსებობის მანძილზე რამდენიმე პარალელური პროცესი ვითარდებოდა. შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომლის წევრთა ვალდებულებების ჩარჩოებში ეს სუბსიდიები განიხილება, როგორც გლობალური სავაჭრო სივრცის დამახინჯება, რომელიც განვითარებად ქვეყნებს ზარალს აყენებს¹³. მიღებულ იქნა *ლისაბონის სტრატეგია*, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას ინოვაციურ პროცესებთან და მდგრად განვითარებასთან აკავშირებს. სახეზეა გლობალური დათბობის პროცესი, რომლის ს/მ ზემოქმედების შერბილება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გადასინჯვის გარეშე შეუძლებელია. ევროკავშირის არსებითი გაფართოების შედეგად ეს ობიექტი გახდა ქვეყნების ჯგუფი ს/მ შედარებით დაბალი განვითარების დონით. აშკარა გახდა, რომ სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რაც ევროპული *ერთობის პოლიტიკის*¹⁴ მიზანია, მოითხოვს ეს უფრო მჭიდრო კავშირს *სოფლის განვითარების* პოლიტიკასთან¹⁵.

ამ მოთხოვნის შესაბამისად, 2001 წელს ევროკავშირის საბჭოს გიორგორგის სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება "... საბჭო შეთანხმდა, რომ ეს მის მომავალ განვითარებაში, სხვა მიზნებთან ერთად, წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების მიღწევაში ჯანსაღ, მაღალი ხარისხის პროდუქტებზე, ეკოლოგიურად

¹² http://ec.europa.eu/agriculture/foodprices/index_en.htm

¹³ ვმო დოჰას შეხვედრაზე 2001 წელს (WTO Doha Round) ევროკავშირმა აიღო ვალდებულება შეამციროს საბაჟო გადასახადები იმპორტირებულ აგროპროდუქტებზე 60%-ით, ფერმერებისთვის სუბსიდიები 80% და მთლიანად გააუქმოს ექსპორტის სუბსიდირება

¹⁴ **Cohesion policy.** პოლიტიკის შინაარსი ევროპის შიგნით უთანასწორობის აღმოფხვრა (ქალაქი-სოფელი, განვითარებული – ჩამორჩენილი რეგიონი და სხვა). ხორციელდება *სტრუქტურული ფონდებისა და ერთობის ფონდის* მეშვეობით. იხ. [europa.eu/scadplus/glossary/structural_cohesion_fund_en.htm](http://ec.europa.eu/scadplus/glossary/structural_cohesion_fund_en.htm)

¹⁵ THE EU RURAL DEVELOPMENT POLICY 2007–2013. European Commission Directorate-General for Agriculture and Rural Development. EU Publications Office, 2006. (http://ec.europa.eu/agriculture/publi/fact/rurdev2007/en_2007.pdf)

მდგრად წარმოების მეთოდებზე (ორგანული წარმოების ჩათვლით), განახლება ნედლეულსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაზე ზრუნვის გაძლიერების გზით¹⁶. ეს ტენდენცია *ესპ*-ში ინოვაციური მიდგომის გაძლიერებას ნიშნავდა. *ესპ* რეფორმირება გაგრძელდა 2003/2004 წლებში *ღისაბონის სტრატეგიის* შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის თესალონიკის სხდომის გადაწყვეტილებათა თანახმად და შემდგომ, 2005 წელს *განახლებული ღისაბონის სტრატეგიის* მიღების შემდეგ¹⁷.

პირველ რიგში, ფერმერებისთვის პირდაპირი ფულადი დახმარება *გაიმიჯნა* (decapling) პროდუქციის წარმოებისგან ანუ ფერმერს დახმარება კონკრეტული პროდუქტის წარმოებისთვის აღარ ეძლევა (ეს პროცესი მთლიანად დამთავრებული არაა). დაიწყო დახმარების გაცემა ფერმის გარკვეული სტანდარტებით (გარემოსდაცვითი და სხვა) მოვლისა და შენახვისთვის, რამაც **ფერმერების გარემოსდაცვითი აქტიობა** გააძლიერა. გაძლიერდა ფერმერების **მცდელობა ეწარმოებინათ ინოვაციური პროდუქტები**, რადგანაც მათი გადაწყვეტილებები ბაზრის მოთხოვნილებაზე გახდა დამოკიდებული და არა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების ფულად სტიმულირებაზე. *ესპ*-ში გაძლიერდა, აგრეთვე, **ხარისხიანი წარმოებისა და სტანდარტების გაუმჯობესების** მხარდაჭერა. 2007 წლიდან პირდაპირი დახმარების შეკვეცის შედეგად გამონთავისუფლებული 1 მლრდ ევრო წელიწადში გადაიროთ *სოფლის განვითარების* ამოცანებზე (მიწის მართვა, სოფლის ეკონომიკა, კონკურენტუნარიანობა).

ევროკავშირი *სოფლის ან სასოფლო სივრცის* OECD განმარტებას ეყრდნობა, რომლის თანახმად ესაა ტერიტორია, სადაც 1 კვ. კილომეტრზე 150 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობს (იაპონიაში 500 ნაკლები). სასოფლო სივრცეს ევროკავშირის ტერიტორიის 90% უკავია და იქ მოსახლეობის დაახლოებით 50% ცხოვრობს. რა თქმა უნდა, სოფლის განვითარების ცენტრალური საკითხი კვლავ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაა. მაგრამ, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალური განსხვავების შემცირებისთვის (რაც გამოიხატება შემოსავლებში საგრძნობი განსხვავებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობით და სხვა), არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლად მომსახურებისა და წარმოების განვითარება. შემუშავდა ე. წ. "*ერთი გადახდის სქემა*"¹⁸ რომლის თანახმად, ფერმერი თანხას მიწისა და, საზოგადოდ, გარემოს გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ დებულობს. ამ სტანდარტების დაცვა საკმაოდ რთულია. საკმარისია იმის თქმა, რომ მოთხოვნები ევროკავშირის 19 დირექტივისა და რეგულაციის

¹⁶ European Council meeting in Göteborg in 2001. *Presidency Conclusions – Göteborg, 15 and 16 June 2001*. SN 200/01 (consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/.../ec/00200-r1.en1.pdf)

¹⁷ The Common Agricultural Policy Explained. European Commission, DG Agriculture and Rural Development, Publications Office, Brussels, 2008. pp.19. (<http://ec.europa.eu/agriculture/>)

¹⁸ Single Payment Scheme - the concept. (ec.europa.eu/agriculture/capreform/infosheets/pay_en.pdf)

შესაბამისადაა ჩამოყალიბებული¹⁹. ისინი ეხება გარემოს დაცვას; ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების სიჯანსაღეს; ცხოველებისთვის არსებობის პირობებს; სურსათის უსაფრთხოებას. ძნელი წარმოსადგენია წარმოების სხვა სფერო, რომელშიც მეწარმეს ერთდროულად ამდენ პირობას უყენებენ, როგორც სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა გარემოს ძლიერი დაბინძურების წყაროა. სათბურის გაზის ატმოსფეროში გაფრქვევის 30% მეტი მიწის დამუშავების შედეგია²⁰. კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესარბილებელი ზომების დაგეგმვისას ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა. ძირითადი ზომები (სტრატეგიები) ასეთია: ნიადაგის ნახშირბადით გამდიდრება; მრავალწლიანი მცენარეების კულტივაცია; კლიმატის დამზოვი მეცხოველეობა; საარსებო/გავრცელების გარემოს დაცვა; დეგრადირებული წყალშემკრებებისა და საძოვრების აღდგენა. ფერმერებისთვის ფინანსური და ტექნოლოგიური/ტექნიკური დახმარების გარეშე ამ მრავალრიცხოვან გამოწვევებთან გამკლავება გაძნელებულია.

საკონსულტაციო სამსახურები ფერმერებისთვის. ზემოაღნიშნული პირობების უკეთ შესრულებისთვის ეს განკუთვნილი სახსრების ნაწილი, 2003 და 2005 წლების გადაწყვეტილებებით, იხარჯება სავალდებულო ფერმების კონსულტირების სისტემის²¹ შექმნაზე, რომელიც ფერმერებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტექნოლოგიებით შეუძლიათ მათ შეასრულონ მოთხოვნილი პირობები. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების თანახმად კონსულტირების სამსახურების შექმნა ეროვნული მთავრობების სავალდებულო ამოცანაა, რომელსაც ევროკომისია მხოლოდ აფინანსებს. ამავე დროს, ეს სამსახურები როგორც ქვეყნისა და რეგიონის, ასევე ევროკავშირის *საინოვაციო სისტემების* ნაწილია. ფერმერებისთვის საკონსულტაციო სამსახურების განვითარება, თუმცა არ არის ცენტრალური საკითხი ევროკავშირის დონეზე (ამ სამსახურების განვითარება უპირატესად ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკების საზრუნავია – იხ. ქვემოთ), უწყურადღებოდ იგი არც ამ დონეზეა დატოვებული.

სოფლის განვითარების პროგრამები (Rural Development Programmes, Rural Development policy 2007-2013). განახლებული ეს თანახმად, 2007-2013 წლებისთვის გამოყოფილი დაახლოებით 350 მლრდ ევროდან 96 მლრდ უნდა დაიხარჯოს *სოფლის განვითარების პროგრამებზე*²², რომლის მიზანია დაეხმაროს ადამიანებს:

¹⁹ am directivebisa da regulaciebis CamonaTvali SeZleba inaxos evrokavSiris Semdeg regulaciaSi - Annex III of Regulation N° 1782/2003

²⁰ Sara J. Scherr and Sajal Sthapit. Worldwatch Report: Mitigating Climate Change Through Food and Land Use. Worldwatch Report 179. Worldwatch Institute June 2009, pp. 50. (<http://www.worldwatch.org/node/>)

²¹ Farm Advisory System. COUNCIL REGULATION (EC) No 1782/2003 of 29 September 2003. Official Journal of the European Union, 21.10.2003, EN L 270/10; Council Regulation (EC) No 1698/2005 of 20 September 2005 on support for rural development by the European Agricultural Fund for Rural Development (EAFRD).

²² Rural Development Programme - Rural Development Policy (http://ec.europa.eu/agriculture/rurdev/index_en.htm).

- ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისადმი ადაპტაციაში
- კონკურენტულ ბაზრებზე გაყიდვების/დილერობის ახალი გზების შემუშავებაში
- ეკონომიკური და დასაქმებითი აქტიობის დონის ამაღლებაში
- მიკრო-ბიზნესების განვითარებაში
- ინოვაციისა და კვლევების შედეგების გამოყენებაში
- დინამიური მეწარმეობის გაძლიერებაში
- აგრო-სასურსათო ჯაჭვში მიმდინარე პროცესების მართვის გაუმჯობესებაში
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში.

სოფლის განვითარების პროგრამებში ვლინდება ეს ვეროინტეგრაციული როლის კიდევ ერთი მხარე – ევროპის რეგიონებს, სოფელსა და ქალაქს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობა. იგი, ერთი მხრივ, ამ უკანასკნელის გაფართოებაა, ხოლო მეორე მხრივ, მისი მდგრადი არსებობისა და განვითარების გარანტია. ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობებს აქვთ საშუალება სოფლის განვითარების საკუთარი პროგრამებისთვის ევროკავშირის ინსტრუმენტების ფართო სპექტრი გამოიყენონ.

ზემოხამოთვლილი მიმართულებები, ფართო გაგებით, ინოვაციური საქმიანობის წახალისებას ემსახურება. მათი მრავალი კომპონენტი თანხვდება ევროკავშირის რეგიონული განვითარების ამოცანებს, რომელსაც სტრუქტურული ფონდები²³ აფინანსებენ. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფერმერები დახმარებისთვის მიმართავენ არა ევროკომისიას, არამედ სათანადო ეროვნულ სააგენტოებს (მათ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელები აქვთ) ან მათ მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციებს. ეს უკანასკნელნი სახსრებს სამი წყაროდან იღებენ:

- ეროვნული მთავრობა
- ევროპული სასოფლო-სამეურნეო გარანტიების ფონდი²⁴ – ფერმერებისთვის გადახდის სქემების ფუნქციონირებისთვის
- სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდი²⁵ – სოფლის განვითარების პროგრამებისთვის.

ევროკავშირის მართვის სქემაში მეთევზეობის გენერალური დირექცია და სოფლის მეურნეობის გენერალური დირექცია გაყოფილია, თუმცა შინაარსობრივად, განსაკუთრებით შიდა წყლებში თევზის მოშენებისა და სოფლის განვითარების საკითხებში, მათი

იხილეთ, აგრეთვე, სქოლიო 15,
²³ სტრუქტურული ფონდები იხ. სქოლიო 14 და http://ec.europa.eu/regional_policy/atlas/factsheets/pdf/fact_eu25_en.pdf
²⁴ European Agricultural Guarantee Fund (EAGF)
²⁵ Agricultural Fund for Rural Development (EAFRD)

საქმიანობა გადაკვეთილია. ერთიან მეთევზეობის პოლიტიკას²⁶ (ემა) ძლიერი საინოვაციო შემადგენელი გააჩნია, თუმცა პროგრამების მოცულობით იგი გაცილებით უფრო მოკრძალებულია, ესპანის შედარებით. მისი წლიური დაფინანსება 0.9 მლრდ ევროა. დახმარების პროგრამებს იგი ახორციელებს ევროპული მეთევზეობის ფონდის²⁷ მეშვეობით, რომლის ფუნქციები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მეთევზეობის გრძელვადიანი მომავლისა და თევზის რესურსების მდგრადი გამოყენების მხარდაჭერა
- თევზჭერის ახალი გაუმჯობესებული მეთოდების განვითარება
- აკვაკულტურის განვითარება
- ტრადიციების მოდერნიზაცია
- შიდა წყლებში მეთევზეობის ახალი მეთოდების განვითარება
- თევზის გადამუშავებისა და მარკეტინგის სექტორებში ახალი ტექნოლოგიების ათვისება.

სოფლის განვითარების საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული, აგრეთვე, ტყესთან და მეტყვეობასთან, რომელთა განვითარება ტყის სამოქმედო გეგმის²⁸ მიხედვით წარმოებს. გეგმა მეტყვეობასა და ტყესთან დაკავშირებული წარმოების ინოვაციურ, კვლევაზე დაფუძნებულ განვითარებას გულისხმობს გარემოს, განახლებადი ენერჯის, ახალი პროდუქტების ჭრილში.

ფერმერების უმთავრესი ტრადიციული ამოცანა საკვების წარმოებაა. ამჟამად მისი დროით გამოცდილი მეთოდები შეზავებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან, რათა საკვების საკმაო რაოდენობა მისაწვდომ ფასად აწარმოონ. მაგრამ ცხოვრება ევროპელი ფერმერების წინაშე მდგარ ამოცანებს განუწყვეტლივ აფართოებს და ართულებს.

²⁶ Common Fisheries Policy (http://ec.europa.eu/fisheries/cfp_en.htm)

²⁷ European Fisheries Fund. Council Regulation (EC) No 1198/2006 of 27 July 2006 on the European Fisheries Fund.

²⁸ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT on an EU Forest Action Plan. Brussels, 15.6.2006. {SEC(2006) 748} COM(2006) 302 final.

მაგალითი – ბიოსაწვავი (სახელმძღვანელო დოკუმენტები)

ევროკავშირში ენერჯიაზე სამომავლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებათ ბიოსაწვავი ერთერთ მიმართულებათაა მი ნეული. მიზნადაა დასახული 2010 წელს ტრანსპორტზე საწვავის ხარჯის 5.75% დაიფაროს ბიოსაწვავით. ამის შესახებ 2003 წელს ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ მიიღეს დირექტივა²⁹, რომელიც ავალუბდა, აგრეთვე, წევრ სახელმწიფოებს მის შესასრულებლათ დაესახათ ეროვნული ინდიკატიური ბიოსაწვავის წარმოების მიზნები. ეს ზომები ემსახურება როგორც ევროპის ენერგოდამოუკიდებლობას, ასევე ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ამოფრქვევის შემცირებას. 2008 წელს ევროკომისიამ მოითხოვა ბიოსაწვავის წარმოების შემდგომი ზრდა: 2020 წლისთვის ზემომოყვანილი მა ვენებლის 10% მიყვანა³⁰.

ფერმერებისთვის ეს ნიშნავს ახალი კულტურებისა და ტექნოლოგიების ათვისებას, ფერმების პროფილისა და ეკონომიკის ცვლილებას, რასაც ევროპული აგროინოვაციური სისტემა, ეროვნულ სისტემებთან ერთად უნდა გაუმკლავდეს.

მაგალითი – ორგანული ფერმერული მეურნეობა

ორგანულმა მეურნეობამ ევროკავშირში მოიპოვა პოლიტიკური მხარდაჭერა ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-ან და 90-ან წლებში³¹. ეს ტენდენცია გაგრძელდა. 2009 წლის 1 იანვრიდან ორგანული პროდუქტების წარმოების , კონტროლისა და მარკირების ახალი წესები შევიდა ძალაში³².

იგი ფართო გაგებით გარემოსდაცვითი მოსაზრებებით (სურსათის უსაფრთხოების ჩათვლით) იყო ნაკარნახევი. მაგრამ არსებობს პოტენციური კონფლიქტი ორგანულ მეურნეობისა და ეკონომიკური ზრდის ამოცანებს შორის. ორგანული ტექნოლოგიები და მარალი პროდუქტიულობა ერთდროულად – გამოწვევაა როგორც მეცნიერებისთვის, ასევე ფერმერებისთვის. ნიადაგის ნოყიერება, მავნებლებთან ბრძოლა ახალ, გარემოსდამზოგ და, ამავე დროს, პროდუქტიულ ტექნოლოგიებს მოითხოვს. ევროკავშირის ძველ და ახალ წევრ ქვეყნებში ამ გამოწვევაზე რეაგირების ანალიზი გაკეთებულია ი. მიხელსენის მიერ³³.

²⁹ Directive 2003/30/EC on the Promotion of the Use of Biofuels or Other Renewable Fuels for Transport. OJ L 123, 17.5.2003
³⁰ 20 20 by 2020. Europe's climate change opportunity Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COM(2008) 30 final. 23.01.2008. European Commission: Brussels.
³¹ Regulation (EEC) No. 2092/91. of 24 June 1991 on organic production of agricultural products and indications referring thereto on agricultural products and foodstuffs (OJ L 198, 22.7.1991, p. 1)
³² Council Regulation (EC) No 834/2007 of 28 June 2007 on organic production and labelling of organic products and repealing Regulation (EEC) No 2092/91, OJ L 189
³³ Johannes Michelsen. A Europeanization deficit? The impact of EU organic agriculture regulations on new member states. Journal of European Public Policy 15:1 January 2008: 117–134.

3. კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამის ღონისძიებები ს/მ სფეროში

3.1. საერთო მიმოხილვა

ევროკავშირის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წვლილია 1.3%. მე-7 ჩარჩო პროგრამაში სასოფლო-სამეურნეო კვლევაზე გამოყოფილია მთლიანი სახსრების დაახლოებით 4% – 1.9 მლრდ ევრო საერთო 50 მილიარდიდან 2007-2013 წლებში, ხოლო პროგრამის კოოპერაციის ბლოკში - 6%. პროგრამის ეს მიმართულება სახელწოდებით "სურსათი, სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა, ბიოტექნოლოგია" ერთერთია 10 ძირითადი მიმართულებიდან და მე-4 დაფინანსების მოცულობით. ამ მიმართულებაში სამი სამოქმედო ქვემიმართულებაა:

- *მიწის, ტყის და წყლის ბიოლოგიური რესურსების მდგრადი წარმოება და მართვა, რომელშიც შედის:*
 1. მიკრო-ორგანიზმების, მცენარეებისა და ცხოველებისთვის განკუთვნილი მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება;
 2. კონკურენტუნარიანი, მდგრადი და მრავალფუნქციური სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და აკვაკულტურა;
 3. ცხოველების სიჯანსაღისა და არსებობის პირობების ოპტიმიზაცია;
 4. *ევროპული ცოდნაზე დაფუძნებული ბიოტექნოლოგიის*³⁴, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სასოფლო და სანაპირო სივრცეების განვითარების პოლიტიკის შემუშავება.
- *"ფერმიდან ანგლამდე": სურსათი (თევზპროდუქტების ათვლით), ჯანმრთელობა და კეთილდღეობა*³⁵, რომელშიც შედის:
 1. მომხმარებლის კვლევა;
 2. კვება;
 3. საკვები პროდუქტების გადამუშავება;
 4. საკვების ხარისხი და უსაფრთხოება;
 5. გარემოზე გავლენა და საკვები ჯაჭვი მთლიანად.
- *მეცნიერება სიცოცხლის შესახებ, ბიოტექნოლოგია და ბიოქიმია არასაკვები პროდუქტებისა და პროცესებისთვის:*

³⁴ მეტი ინფორმაცია ევროპული ცოდნაზე დაფუძნებული ბიოეკონომიკის შესახებ:

www.ec.europa.eu/research/biosociety/index_en.htm და http://cordis.europa.eu/fp7/kbbe/home_en.html

³⁵ ამ ქვემიმართულების შესახებ დამატებითი ინფორმაცია საიტზე www.ec.europa.eu/research/fp7/index_en.cfm?pg=food

1. გაუმჯობესებული განახლებადი ნედლეულის წარმოება,
2. განახლებადი ნედლეულის გადამუშავება
3. გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგია

ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები. სოფლის მეურნეობის პრობლემატიკას უკავშირდება 5 ერთობლივი ტექნოლოგიური პლატფორმის³⁶ საქმიანობა (ევროკავშირში მოქმედი 34-დან). ესაა საორგანიზაციო ფორმა, რომელიც საჯარო კვლევითი ორგანიზაციების, საწარმოების, უნივერსიტეტებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების არატერიტორიულ (საერთოევროპულ) კლასტერს წარმოქმნის. იგი გულისხმობს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების გადწყვეტისთვის სახსრების მოზიდვას არა მარტო კვლევის ჩარჩო პროგრამიდან, არამედ სტრუქტურული ფონდებიდან, ეროვნული რეგიონული მთავრობებისგან, კერძო სექტორიდან, ევროპული საინვესტიციო ბანკიდან, EUREKA პროგრამიდან³⁷. ეს ტექნოლოგიური პლატფორმები³⁸:

ბიოსაწვავი – ევროპული ბიოსაწვავის ტექნოლოგიური პლატფორმა;

სურსათი – სურსათი სიცოცხლისთვის;

მეტყვეობა – ტყის სექტორის ტექნოლოგიური პლატფორმა;

GAH³⁹ – გლობალური ცხოველთა სიჯანსაღე;

მცენარეები – მცენარეები მომავლისთვის.

როდესაც მრავალფაქტორიან და სწრაფადცვალებად გარემოში, რომელშიც ევროპული ს/მ ვითარდება, ევროკომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკის კვლევით მხარდაჭერას, რაც გულისხმობს პოლიტიკური არევის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული შედეგების დადგენასა და განჭვრეტას, ხოლო შემდეგ – მაღალხარისხიან შეფასებას.

ევროპული კვლევითი სივრცის მექანიზმები. არსებული შეფასების თანახმად, ევროპული კვლევები სოფლის-მეურნეობის სფეროში, ნაკლებად კოორდინირებული რჩება. შეინიშნება კვლევაში ინვესტირების ნაკლებობა და კვლევის კრიტიკული

³⁶ European Technology Platforms (cordis.europa.eu/technology-platforms/home_en.html)

³⁷ EUREKA ევროპული სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 39 სახელმწიფოს, მათ შორის 26 ევროკავშირის წევრს. ევროკავშირი მისი ერთერთი წევრია. მიზანია კვლევისა და შემუშავების დაფინანსება და კოორდინაცია.

³⁸ European Biofuels Technology Platform; Food for Life; Forest based sector Technology Platform; Global Animal Health; Plants for the Future.

³⁹ GAH - Global Animal Health

მასის მიუღწევლობა⁴⁰. ხშირად, არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ გაა ნია აუცილებელი კვლევის შესრულებისთვის და სათანადო პოლიტიკის შემუშავებისთვის საკმარისი რესურსი. ასეთ შემთხვევებში ევროკავშირის მექანიზმები, მაგალითად, მე-7 ჩარჩო პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების მხარდაჭერა, უაღრესად მნიშვნელოვანია. ასეთივე, თუ არა უფრო, მნიშვნელოვანია ის მექანიზმები, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებში ეროვნული დაფინანსებით წარმოებული კვლევების ტრანსსასაზღვრო კოორდინირებას ახორციელებენ. მათი განვითარება *ევროპული კვლევითი სივრცის (ERA)*⁴¹ პროგრამის ერთერთი უმთავრესი მიზანია. ერთერთი მექანიზმია ERA-NET⁴²: მე-7 ჩარჩო პროგრამიდან გამოიყოფა სახსრები ეროვნული კვლევითი ორგანიზაციებისა და, რაც მნიშვნელოვანია, მათი დამფინანსებელი სააგენტოების (სამინისტროების, ფონდების) თემატური თანამშრომლობის მხარდასაჭერად. უფრა ღრმა ინტეგრაციული სქემა ითვალისწინებს ქვეყნების მიერ სახსრების გამოყოფას, ხოლო პროექტებისა და შემსრულებლების შერჩევას პროექტის მმართველი საბჭოს მიერ, კონკურსის საფუძველზე. სასოფლო-სამეურნეო კვლევის სფეროში მრავალი ERA-NET პროექტი მოქმედებდა (ჯერ კიდევ მე-6 ჩარჩო პროგრამაში) და მოქმედებს ამჟამადაც.

ანართი 3

ორგანული სურსათისა და ფერმერობის სფეროში ევროპული ტრანსნაციონალური კვლევის კოორდინაცია (CORE Organic)

წლები: 2004 – 2007

ორგანული ფერმერული მეურნეობა გვთავაზობს მთელ რიგ გადაწყვეტას იმ სიძნელების გადასაღებად, რომელიც *ესპ*-დან გამომდინარეობს. კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარება, გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება იხილება პოლიტიკის მთავარ მიზნებად. მაგრამ, ორგანული ფერმერული მეურნეობის პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად ყოველსომცველი ევროპული კვლევითი ძალისხმევაა საჭირო. CORE Organic 3-წლიანი საკოორდინაციო მოქმედება იყო ორგანული სურსათისა და ფერმერობის სფეროში. საერთო მიზანი იყო კვლევის კრიტიკული მასის ერთობლივად შექმნა, რომელიც ამ სფეროში კვლევის ხარისხს, მიზანდასახულობას და გამოყენების მასშტაბს გაზრდის. საბოლოოდ, ერთობლივი კვლევითი პროგრამა შეიქმნა. თავიდან პროგრამაში 11 პარტნიორი მონაწილეობდა. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. პროექტი ევროკომისიის ERA-NET სქემის ნაწილს წარმოადგენდა.

⁴⁰ Tackling the challenge of rising food prices - Directions for EU action. Commission COM(2008) 321 final. დოკუმენტი გათვალისწინებულია მიმართულება: აგროკვლევა და მასთან დაკავშირებული ცოდნის გენერირება (Strengthening agricultural research and related knowledge generation).

⁴¹ შევნიშნოთ, რომ კვლევების დაფინანსების ეროვნულ დონეზე ჯამურად იხარჯება დაახლოებით 25-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე ევროკავშირის დონეზე. ERA (European Research Area) – *ევროპული კვლევითი სივრცის* შექმნა, ლისაბონის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა

⁴² ERA-NET - http://cordis.europa.eu/fp7/coordination/eranel_en.html

ERA-NET პროექტი მცენარეთა გენომი (ERA-PG)

ERA-PG წარმოადგენდა სამინისტროების, დამფინანსებელი სააგენტოების და ეროვნული კვლევის სააგენტოების თანამშრომლობის პროექტს, რომლებსაც მცენარეთა გენომის შესწავლის სფეროში კვლევითი პროგრამები გააჩნდათ. პროექტის მიზანი იყო უმაღლესი დონის კვლევების სტიმულირება, ინოვაციური გადაწყვეტების შემუშავება და მათი ევროპაში კომერციალიზაცია. პროექტი (ქსელი) აერთიანებდა 23 პარტნიორს 17 ქვეყნიდან. პროექტმა ჩაატარა ორი კონკურსი საერთო ბიუჯეტით 55 მილიონი ევრო.

2008 წელს ევროკავშირმა მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი - ევროკომისიის მიმართვა (Communication) ევროკავშირის საბჭოს, ევროპარლამენტისა და დაინტერესებული კომიტეტებისადმი სათაურით *ევროპული სასოფლო-სამეურნეო კვლევის შეთანხმებული სტრატეგიის დღის წესრიგისკენ*⁴³. კომუნიკაცია ასახავს კვლევების მიმართულებების ცვლილებას ბოლო 30 წლის განმავლობაში და აღწერს ინიციატივებს, რომლებმაც ახალ გამოწვევებს უნდა უპასუხონ. მაგალითია ერთობლივი პროგრამირების ინიციატივა (*Joint Programming Initiative*)⁴⁴, რომელიც 2010 წლიდან ამოქმედდება.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის განვითარებასა და მართვაში მნიშვნელოვანია *სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივი კომიტეტის (SCAR)*⁴⁵ როლი. კომიტეტი ფუნქციონირებს კვლევისა და ინოვაციის გენერალურ დირექტორატთან. მისი წევრებია: ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენლები; ევროკომისიის *სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, გარემოსა და კვლევის* გენერალური დირექტორატების წარმომადგენლები; *გაერთიანებული კვლევითი ცენტრის (JRC)*⁴⁶ წარმომადგენელი. მისი მთავარი ამოცანებია:

- ს/ს კვლევის გრძელვადიანი დღის წესრიგის შესახებ დისკუსიის ორგანიზება;
- სასოფლო-სამეურნეო კვლევის საზღვრების დადგენა;
- ატარებული კვლევებისა და დასრულებული პროგრამების შედეგების განზოგადება;
- ინფორმაციის გაცვლა ყველა ჩარჩო პროგრამის მექანიზმების გამოყენებით;
- ახალი პროგრამების მიმართულებების დადგენა მე-7 პროგრამის შემდგომ პერიოდზე;

⁴³ Towards a coherent strategy for a European Agricultural Research Agenda. Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Commission of the European Communities, Brussels, COM(2008)xxxx, {SEC(2008)yyyy}

⁴⁴ TOWARDS JOINT PROGRAMMING IN RESEARCH: Working together to tackle common challenges more effectively. {COM(2008) 468}

⁴⁵ SCAR (Standing Committee on Agriculture Research) დაფუძნდა 1974 წელს (Regulation (EEC) No. 1728/74 of the Council of 27 June 1974). http://ec.europa.eu/research/era/pdf/citizen-summary_en.pdf

⁴⁶ JRC (Joint Research Centre) - www.jrc.ec.europa.eu

- წევრ ქვეყნებს შორის კოოპერაციის გაძლიერება (ერთობლივი პროგრამები და სხვა);
- ესპ სამეცნიერო მხარდაჭერისთვის განკუთვნილი კვლევების დღის წესრიგის დადგენა;
- პროგნოზირება;

ევროპული სასოფლო-სამეურნეო კვლევის შეთანხმებული სტრატეგიის დღის წესრიგისკენ კომუნიკაციის თანახმად, სურსათი და სოფლის მეურნეობა ერთერთია იმ ოთხ უმთავრეს გადასატრელ საკითხთაგან, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას.

3.2. პროგნოზირება და მომავალი კვლევის მიმართულებები

2007 წლის 26-27 ივნისს ევროკომისიის კვლევის გენერალურმა დირექციამ⁴⁷ მოაწყო ბრიუსელში დიდი კონფერენცია ევროპის სოფლის მეურნეობის მომავლისა და კვლევაზე მისი გავლენის საკითხებზე⁴⁸. კონფერენციმ განიხილა სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივი კომიტეტის (SCAR) მიერ წინასწარ ატარებული ფართო პროგნოზის შედეგები. პროგნოზი შეიცავს ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლო სცენარებს 20 წლიან პერსპექტივაში და ამ განვითარებაზე კვლევითი სისტემის სათანადო რეაგირების აღწერას.

განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა გლობალიზაცია, გლობალური დათბობა და ს/ს წარმოების ცვლილება ევროპის რეგიონებში, ბიოსაწვავის წარმოება და სურსათზე ფასების ცვლილება, დემოგრაფიული ცვლილებები, ბუნებრივი რესურსების არამდგრადი მოხმარება და სხვა. მიზანი იყო ამ ფაქტორების გათვალისწინებით მომავალი კვლევების მიმართ მოთხოვნების ჩამოყალიბება.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცნება თანმიმდევრულად ცდება წარსულში არსებულ ვიწრო კონცეფციას, რომელსაც ევროპაში უწოდებენ "ფერმა-ჩანგლის" (*farm-to fork*) კონცეფციას, რაც გულისხმობს მხოლოდ სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის განხილვას (იხ. ცხრილი 3.1.).

⁴⁷ European Commission's Directorate-General for Research and Innovation

⁴⁸ Proceedings of the Conference *Towards Future Challenges of Agricultural Research in Europe*, Brussels, 26-27 June 2007. European Commission, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2007. 48pp.

ცხრილი 3.1. სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევების ძირითადი ორიენტირები

გარემოსდაცვითი ორიენტირები	ს/ს ორიენტირები	კვებითი ორიენტირები
გამოყენება და დაცვა <ul style="list-style-type: none"> • წყლის რესურსები • ნიადაგი • ბიომრავალფეროვნება 	უზრუნველყოფა <ul style="list-style-type: none"> • სასურსათო უსაფრთხოება • "მწვანე" ქიმია • ბიოენერჯია 	უზრუნველყოფა <ul style="list-style-type: none"> • სურსათის უვნებლობა • კვებითი ბალანსი
ადაპტირება პირობების მიმართ <ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილება • ქალაქების გაფართოება 	გაზრდა <ul style="list-style-type: none"> • მიმზიდველობის • დადებითი ეკობალანსის • რეაგირების/დინამიზმის 	შემცირება <ul style="list-style-type: none"> • საკვების ნაკლებობის • ჭარბი კვების
	შემცირება <ul style="list-style-type: none"> • ზოონოზის (დაავადების ცხოველიდან ადამიანზე გადასვლის) 	

კვლევის თემატიკამ ევროპაში მრავალფეროვანი, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესები უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, ფერმების გამსხვილების მიმდინარე პროცესი იწვევს უმუშევრობის ზრდას. კვლევამ ამ სოციალური პრობლემის გადაწყვეტის გზები უნდა შეიმუშაოს. მეორე მხრივ, ევროპაში დიდია მცირე ფერმების რაოდენობა, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. პროგნოზირებად პერიოდში მათი რაოდენობა კვლავაც დიდი იქნება. კვლევამ მცირე ფერმების სპეციფიური მოთხოვნები (ტექნოლოგიები, ბიზნეს-სქემები) უნდა გაითვალისწინოს და მათ გაუმჯობესებაზე იზრუნოს.

კვლევების სამომავლო დღის წესრიგი განიხილა ევროკავშირის საბჭომ 2008 წლის 20 ივნისს. მის განცხადებაში ნათქვამია: "სახეზეა სასოფლო სამეურნეო წარმოებაში ინოვაციის, კვლევისა და განვითარების გზით მოძრაობის მოთხოვნილება, რათა გაეზარდოს მისი ენერგოეფექტურობა, პროდუქტიულობა და კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების უნარი"⁴⁹.

⁴⁹ Presidency Conclusion n° 28 of the European Council, 20 June 2008.

(http://www.eu2008.si/en/News_and_Documents/Council_Conclusions/June/0619_EC-CON.pdf)

3.3. ევროპული ს/ს მეცნიერება და ევროპის საერთაშორისო პასუხისმგებლობა

თნამედროვე მსოფლიოში, რომლის მოსახლეობა 2050 წლისთვის 9 მილიარდს მიაღწევს, ხოლო ეკონომიკა სულ უფრო ინტეგრირებული ხდება და კლიმატის ცვლილების თუ გარემოს დეგრადაციის გავლენას განიცდის, მდგრადობა ევროპაში და მთელ მსოფლიოში ინტენსიური ყურადღების საგანი ხდება. ევროპა, როგორც ს/ს და კვების პროდუქციის უმსხვილესი მწარმოებელი 900 მლრდ ევროზე მეტი წლიური მოცულობით და, ამავე დროს, უდიდესი ს/ს კვლევითი პოტენციალის მქონე, წლიურად 500 მილიონ ევროზე მეტი სამუშაოთა მოცულობით, მოვალეა იზრუნოს ს/მ მდგრადობაზე გლობალურ კონტექსტში. მას გააჩნია პოტენციალი და გრძნობს პასუხისმგებლობას შეიტანოს წვლილი მოქმედი ფაქტორების ურთიერთკავშირისა და ზეგავლენის შესწავლასა და მათ მიმართ ადაპტაციის გზების გამონახვაში.

ეს გარემოებები იწვევს ს/ს კვლევაში საერთაშორისო კოოპერაციაზე მოთხოვნების ზრდას, რაც *საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ევროპული სტრატეგიული ჩარჩოს შესახებ* ევროკომისიის კომუნიკაციასთან⁵⁰ შესაბამისობაში უნდა გაკეთდეს. მუდმივად მოქმედი კომიტეტის აზრით ევროპამ, აგრეთვე, წამყვანი როლი უნდა ითამაშოს ს/ს კვლევის გლობალური დღის წესრიგის განსაზღვრაში. ეს უნდა გაკეთდეს კოლაბორაციაში ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც გაეროს სააგენტოები (FAO და სხვები), მსოფლიო ბანკი, OECD, დიდი რვიანი. საჭიროა, აგრეთვე, რეგიონული ორგანიზაციების ართვა (*African Union, ASEAN, MERCOSUR*) და გლობალურ ს/ს კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ჩართვა, როგორცაა *სასოფლო-სამეურნეო კვლევის გლობალური ფორუმი (GFAR)* და *საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევის საკონსულტაციო ჯგუფი (CGIAR)*⁵¹.

ევროკავშირის საბჭომ და ევროპარლამენტმა ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღეს გადაწყვეტილება *ევროპული ინციატივა განვითარებისთვის სასოფლო-სამეურნეო კვლევის თაობაზე*⁵². მისი მიზანი იყო ევროკომისიასა და წევრ ქვეყნებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება, მიმართული განვითარებად სახელმწიფოებში პოლიტიკის კვლევით მხარდაჭერაზე.

ევროპა არის აგროკვლევის საერთაშორისო ცენტრებისა და განვითარებადი ქვეყნების მსხვილი დონორი, *სასოფლო-სამეურნეო კვლევის რეგიონული ფორუმებისა*⁵³ და *სასოფლო-სამეურნეო კვლევის გლობალური ფორუმის* ერთერთი ინიციატორი, მაგრამ,

⁵⁰ Commission Communication on the Strategic European Framework for International S&T. COM(2008) 588 final, 24.09.2008

⁵¹ Global Forum on Agricultural Research (www.egfar.org); Consultative Group on International Agricultural Research (www.cgiar.org)

⁵² The European Initiative for Agricultural Research for Development (EIARD). COM(97)126

⁵³ სასოფლო-სამეურნეო კვლევის რეგიონული ფორუმები: AARINENA (www.aarinena.org), APAARI (www.apaari.org), CACAARI (www.cacaari.org) და სხვა.

მისი პოზიცია საერთაშორისო დიალოგში ამ საკითხებზე გასაძლიერებელი იყო.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ს/ს კვლევის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად შეიქმნა ერთიანი კვლევითი სივრცის საგანგებო ახალი პროექტი *სასოფლო-სამეურნეო კვლევა განვითარებისთვის (ERA-ARD)*⁵⁴. სქემაში კონსორციუმის კოორდინატორი ორგანიზაცია დამფინანსებელი ქვეყნიდანაა, ერთი ორგანიზაცია დახმარების მიმღები ქვეყნიდან. ქვემოთ უჯრაში მოგვყავს თემატურ კონკურსში "ბიოსაწვავი" ერთერთი გამარჯვებული პროექტი.

ERA-ARD პროექტი

პროექტის დასახელება: ბიოენერჯია უკრაინაში – შესაძლებლობანი სოფლისა და ადგილობრივი თემის განვითარებისთვის

პროექტის შინაარსი:

პროექტის ზოგადი მიზანია ბიომასის ენერგეტიკაში გამოყენებისა და ბიოსაწვავის წარმოების მხარდაჭერა უკრაინაში, სასოფლო რაიონების მდგრადი განვითარების გათვალისწინებით.

მოქმედების სახეები და კერძო მიზნები:

1. უკრაინაში არსებული საკანონმდებლო გარემოს შეფასება ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით, თეთრი ლაქების დადგენა და მათ შესავსებათ წინადადებების შემუშავება;
2. ბიომასის წარმოების პოტენციალის გამოთვლა უკრაინისთვის და მისი გამოყენების შეფასება, განსაკუთრებით ლოკალურ დონეზე;
3. ადგილობრივი თემების განვითარებაზე ბიომასისა და ბიოსაწვავის გამოყენების გავლენის სოციოეკონომიკური შეფასება.

პროექტი უკრაინაში ენერჯის ადგილობრივად გენერაციის განვითარებას შეუწყობს ხელს.

შემსრულებლები:

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი (პოლონეთი)

ლიტვის სასოფლო-სამეურნეო იჟინერიის ინსტიტუტი

ეროვნული სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი (უკრაინა)

კვლევისა და საკონსულტაციო სამსახურების მნიშვნელობა, სხვა საკითხებთან ერთად, განვითარებადი ქვეყნებისთვის კრიზისიდან გამოსასვლელად გაწეული ევროპული დახმარების პროცესში, ხაზგასმული იყო ევროკომისიის მიერ 2009 წლის აპრილშიც⁵⁵.

⁵⁴ ERA-ARD (<http://www.era-ard.org/index.php?call=home>)

⁵⁵ Supporting developing countries in coping with the crisis. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Commission of the European Communities. Brussels, 8.4.2009 COM(2009) 160 final {SEC(2009) 442}{SEC(2009) 443}{SEC(2009) 444}{SEC(2009) 445}

4. ეროვნული საინოვაციო პოლიტიკები და სისტემები

4.1. საერთო მიმოხილვა


ქვეყნების მოქმედება ესპ ისეთ საკითხებში, როგორცაა ფერმერთა სუბსიდირება, ფასების რეგულირება და *ესპ* სხვა კომპონენტები, მდგომარეობს *ესპ* დაყვანაში კონკრეტული ქვეყნების ფერმერებამდე. ეს სათანადო ეროვნული სააგენტოების მეშვეობით კეთდება ქვეყნებს შეუძლიათ დაამატონ ევროკომისიის სუბსიდიებს ეროვნული სუბსიდიები გარკვეულ, ევროკავშირის მიერ დადგენილ, ზღვრამდე.

საინოვაციო პოლიტიკაში ქვეყნებს გაცილებით მეტი თავისუფლება გაა ნიათ. კერძოდ, ეროვნული კვლევითი სისტემების სტრუქტურა, კვლევის პრიორიტეტები (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც *კვლევის არ ო პროგრამიდან*⁵⁶ ფინანსდება), ფერმერებისთვის *საკონსულტაციო სამსახურების*⁵⁷ არქიტექტურა და დაფინანსება – მთლიანად ქვეყნების პასუხისმგებლობაა. თუმცა, მათ შეუძლიათ ამ საკითხების გადასაწყვეტად მიიღონ ევროკომისიისგან დახმარება (მაგალითად, *სტრუქტურული ფონდებისგან*) იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ღონისძიებები ევროპული პროგრამების შინაარსობრივ არ ოებში ექცევიან. ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორ ვლინდება ეს დამოუკიდებლობა სასოფლო-სამეურნეო კვლევებში და საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობაში⁵⁸.

⁵⁶ კვლევისა და ინოვაციის ჩარხო პროგრამების შესახებ იხილეთ თ. მარსაგიშვილის სტატია წინამდებარე წიგნში.

⁵⁷ საკონსულტაციო სამსახურებისთვის ინგლისურში რამდენიმე შესატყვისი ტერმინი გამოიყენება: *advisory services, extension services, agricultural extension*. ევროპაში უფრო ხშირად პირველს იყენებენ.

⁵⁸ ახლადმიღებული ევროკავშირის წევრი ქვეყნის მთავრობის ხელვა და ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სფეროში, შეთანხმებული ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო, რეგიონულ და საინოვაციო პოლიტიკებთან, კარგად არის აღწერილი დოკუმენტში: *The Manifesto of the Government of the Slovak Republic. 2.4. Agriculture*. (<http://www.slovakia.sk/9802/24-agriculture.php>)



ნახ. 4.1. ეროვნული სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა

საინოვაციო სისტემების არსებული მრავალი განმარტებიდან ვისარგებლოთ არნოლდისა და ბელის⁵⁹ მიერ შემოთავზებულით და მათივე მიერ მოცემული საინოვაციო სასოფლო-სამეურნეო ეროვნული სისტემის სქემით (ნახ. 4.1). ესაა "ყველა მოთამაშე და საქმიანობა, რომელიც აუცილებელია რათა ინოვაციას ადგილი ჰქონდეს და ეკონომიკა განვითარების გზით წაიყვანოს".

ამჟამად არსებული წარმოდგენის თანახმად, რომელსაც ყველა წარმატებული ქვეყნის გამოცდილება ამყარებს, ეკონომიკური კეთილდღეობა ეროვნული საინოვაციო სისტემის გამართულ მუშაობაზე დაფუძნებული. ეს სისტემა ეროვნული ტექნოლოგიური პოტენციალის (ეტპ) რეალიზაციის მექანიზმია ანუ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და ძალისხმევის, რომელიც ქვეყნის საწარმოებს საშუალებას აძლევს ეფექტიანად შეიძინონ, გამოიყენონ, საკუთარ პირობებს მოარგონ, გააუმჯობესონ და შექმნან ტექნოლოგიები. ეროვნული ს/ს საინოვაციო სისტემების შესახებ უკანასკნელი დეტალური გამოკვლევა

⁵⁹ Arnold, E. and Bell, M. *Some new ideas about research for development*, in Partnerships at the leading edge: A Danish view for knowledge, research and development. Report of the Commission on Development-Related Research. Danida, Ministry of Foreign affairs, Copenhagen, 2001.

გამოქვეყნდა 2008 წელს მსოფლიო ბანკის მიერ⁶⁰. მათი შემადგენლობა, დაფინანსება, ფუნქციები და, მაშასადამე, ეფექტიანობაც ეროვნულ ს/ს პოლიტიკაზეა დამოკიდებული. საინოვაციო სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ეროვნული კვლევითი სისტემაა.

4.2. ეროვნული ს/ს კვლევითი სისტემები.

ს/ს კვლევაზე წევრ ქვეყნებში გაწეული ხარჯების ჯამი აღემატება ევროკავშირის ხარჯებს ამავე მიმართულებით⁶¹. ამასთან, ცალკეული ქვეყნები ეროვნულ კვლევის პროგრამებში ს/ს კვლევას, ევროკავშირის პროგრამებთან შედარებით, მეტ ან ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებენ. მოვიყვანოთ დანიის მაგალითი. როგორც ვთქვით, მე-7 ჩარჩო პროგრამაში⁶² ს/ს კვლევის წილია 4%, ხოლო დანიაში ს/ს კვლევის წილი ქვეყანაში საჯარო სახსრებით ატარებული კვლევის საერთო მოცულობის 7.9% შეადგენს⁶³. ქვემოთ მოგვყავს მონაცემები პროექტის *აგროსექტორის აღწერა ევროკავშირში (EU AGRI MAPPING)* ანგარიშის ერთ-ერთი ნაწილიდან⁶⁴ (ცხრილი 4.1).

ცხრილიდან ჩანს, რამდენად განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნებში აგროსექტორის მდგომარეობაც და აგროკვლევების დაფინანსების დონეც. მაგალითად, ლიტვა კვლევაზე გაწეული საერთო სამთავრობო ხარჯების 18% უთმობს აგროკვლევებს, კვიპროსი - 20%, ხოლო პოლონეთი და ბელგია - 1%. ამ ფაქტს სხვადასხვა მიზეზი და ახსნა შეიძლება ქონდეს, მაგრამ ეს სხვა გამოკვლევის საგანია. მივაქციოთ ყურადღება ასეთ ფაქტსაც, რომელიც მნიშვნელოვანია ევროპული გამოკვლევების ატარების დროს. სამთავრობო ხარჯების დონის რიცხვითი სიდიდე დანიაში, აღებული ორი წყაროდან - დანიის სტატისტიკური სამსახურიდან (იხ. ზემოთ) და ტაბულა 2-დან, საკმაოდ განსხვავდება. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული მეთოდოლოგიური განსხვავებებით სტატისტიკური მონაცემების მიმართ მიდგომებში. ჩვენი მსჯელობისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სხვა ტიპის გამოკვლევებისთვის მეთოდოლოგიების დეტალებში გარკვევა შეიძლება აუცილებელი გახდეს.

⁶⁰ David J. Spielman, Regina Birner. How Innovative Is Your Agriculture? Using Innovation Indicators and Benchmarks to strengthen National Agricultural Innovation Systems. Agriculture and Rural Development, Discussion Paper 41, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2008. pp. 47

⁶¹ ასეა კვლევის ნებისმიერი მიმართულებით და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში

⁶² კვლევისა და ინოვაციის მე-7 არ ო პროგრამის შესახებ იხილეთ თ. მარსაგიშვილის სტატია წინამდებარე წიგნში.

⁶³ Statistics Denmark (<http://www.statbank.dk/statbank5a/default.asp?w=1280>)

⁶⁴ Overview of the agri-food research landscape in Europe. Agri-Food Research in Europe: Final report. Annex 2. EU AGRI MAPPING Project, December 2007 (http://www.europartnersearch.net/eu-agri-mapping/index.php?page=Document_library)

ყველა წევრ ქვეყანაში აგროკვლევის საზღვრები დადგენილია იმ ფართო გაგების შესაბამისად, რომელიც მე-7 ჩარჩო პროგრამიდან და *სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივ-მოქმედი საბჭოს* განმარტებებიდან გამომდინარეობს (ანუ ეხება ისეთ საკითხებსაც, როგორცაა ბიოტექნოლოგია, ბიოსაწვავი, კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა, სოფლის განვითარება), მაგრამ აქცენტები მიმართულებებში განსხვავებულია.

ყველა წევრი ქვეყნის კვლევითი სისტემა მოიცავს უნივერსიტეტებს, საჯარო კვლევით ორგანიზაციებსა და კერძო სექტორში (პირველ რიგში აგრო-სასურსათო/საკვების მწარმოებელ ფირმებში) არსებულ კვლევით სიმძლავრეებს. ამ კომპონენტების შეფარდება, მათი ფუნქციების განაწილება, ქვეყნებში განსხვავდება. თუმცა, როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ორი რამ შეინიშნება ყველგან:

- ა) აგროკვლევის სექტორში საჯარო კვლევების მნიშვნელობა უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებში;
- ბ) შეიმჩნევა უნივერსიტეტების როლის ზრდა სხვა საჯარო კვლევით ორგანიზაციებთან შედარებით.

აგროკვლევა ფინეთში (http://ec.europa.eu/research/agriculture/scar/index_en.cfm?p=1_fi)

ფინეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკისთვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის (ს/მ, მეტყვეობა, მეთევზეობა და ნადირობა, წყლის ბიორესურსები და სასოფლო საქმეები) და სურსათის უსაფრთხოებისთვის. გააჩნია რა 5 საკუთარი აგროკვლევითი ინსტიტუტი და ბიუჯეტი აგროკვლევების საკონკურსო დაფინანსებისთვის, იგი ს/ს კვლევის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი კონკურსები მიმართულია: მეცნიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებელ პროექტებზე; კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად და ეთიკურად მდგრადი ტექნოლოგიების შემუშავების პროექტებზე; სურსათის ხარისხსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა პროექტებზე.

პოლიტიკის შემუშავებასა და პროექტების გადარჩევაში მას ეხმარება *აგრო-სასურსათო კვლევის საკონსულტაციო საბჭო*. სამინისტრო თანამშრომლობს კვლევის დამფინანსებელ ევროპულ და სხვა ფინურ ორგანიზაციებთან, რომლებსაც აგრეთვე გააჩნიათ აგროსექტორის რეგულაციური კვლევის მიმართულებები და პროგრამები, კერძოდ:

ფინეთის ეროვნულ ტექნოლოგიურ სააგენტოსთან (Tekes), პროგრამებით ბიოტექნოლოგიისა და სურსათის ინოვაციის სფეროებში;

ფინეთის აკადემიასთან, უპირატესად ფუნდამენტურ კვლევაზე ორიენტირებული პროგრამებით: კვების, სურსათის და ჯანმრთელობა; გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების სოციალური და ჯანმრთელობაზე გავლენა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კვლევების შემსრულებლებია:

სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 5 ინსტიტუტი;

გარემოს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1 ინსტიტუტი;

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 2 ინსტიტუტი;

სოციალური საკითხებისა და ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1 ინსტიტუტი;

განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 4 უნივერსიტეტი.

ცხრილში 4.1 მოყვანილია ევროკავშირის ქვეყნებში კვლევასა და შემუშავებაზე სამთავრობო ხარჯებში სასოფლო-სამეურნეო კვლევების წილი (სხვა ინდიკატორებთან ერთად).

ცხრილი 4.1. სოფლის მეურნეობის ძირითადი ინდიკატორები

27 ქვეყნების მიხედვით

	მაკრო-ეკონომიკური და კვლევით- ტექნოლოგიური ინდიკატორები					აგრო-სასურსათო ინდიკატორები				
	მშპ სულზე, % (EU-27=100)	მოსახლეობა, მლნ	მკვლევარები სულ	კმ მოლიანი შიდა ხარჯი ⁵⁶	ესო პატენტები ⁵⁷	გამოყენებული სასოფ.-სამეურნ. ფართი ⁵⁸	დასაქმება სოფლის მეურნეობაში ⁵⁹	სოფლის მეურნ. წილი მშპ-ში ⁶⁰	აგრო-სასურს. ექსპორტ. წილი ექსპორტში, %	% GBAORD agri in total GBAORD ⁶¹
EU-27	100	490,7	1205	1,4	124	182	7,4	2,6	7,9	
ავსტრია	123	8,2	24	2,2	103	3	5	1,2	4,6	3%
ბელგია	118	10,4	32	1,9	70	1	2,2	0,9	4,9	1%
გერმანია	110	82,5	270	2,5	156	17	2,4	0,9	2,5	2%
გაერთ. სამეფო	117	60,0	158	1,9	122	17	1,3	0,7	4,8	3%
დანია	124	5,4	27	2,6	111	3	3,3	1,7	18,7	6%
ესპანეთი	99	43,0	101	1,1	14	25	5,5	3,4	9,5	5%
ირლანდია	137	4,1	11	1,2	37	4	6,4	1,8	11,6	10%
იტალია	103	58,5	70	1,1	47	13	4,2	2,2	5,3	5%
ლუქსემბურგი	247	0,5	2	1,7	117	0,13	2,1	0,5	1,1	NA
ნიდერლანდები	123	16,3	37	1,8	113	2	3,2	1,7	14,7	6%
პორტუგალია	71	10,5	22	0,7	4	4	12,1	2,4	9,1	10%
საბერძნეთი	82	11,1	16	0,6	6	4	12,6	5,2	19,9	5%
საფრანგეთი	109	62,4	193	2,2	76	30	4	1,9	8,3	2%
ფინეთი	113	5,2	41	3,5	143	2	5	1	2,8	6%
შვედეთი	115	9,0	49	4,0	137	3	2,5	0,6	3	2%
ბულგარეთი	32	7,8	10	0,5	2	5	10,7	8,2	11	NA
ესტონეთი	57	1,3	3	0,8	5	1	5,5	2,2	4,9	NA
კვიპროსი	83	0,7	1	0,4	5	0,16	5,1	2,5	18,4	20%
ლატვია	47	2,3	3	0,4	3	2	13,3	2,6	9,5	7%
ლიტვა	52	3,4	7	0,7	3	3	16,3	2,9	8,5	18%
მალტა	69	0,4	0,3	0,3	9	0,01	2,3	1,3	6	2%
პოლონეთი	50	38,2	61	0,5	2	16	17,6	3,1	10,8	1%
რუმინეთი	35	21,7	21	0,4	0	14	32,6	12,2	3,3	4%
სლოვაკია	55	5,4	11	0,6	3	2	5,1	2	2,7	12%
სლოვენია	80	2,0	4	1,5	22	0,49	9,7	1,9	4,9	3%
უნგრეთი	61	10,1	15	0,9	9	6	5,3	3,1	10	15%
ჩეხეთი	73	10,2	16	1,3	7	4	4,4	1,4	3,2	5%

⁵⁶ იზომება როგორც მშპ პროცენტი.

⁵⁷ ევროპულ საპატენტო ოფისში განაცხადების რიცხვი მილიონ მაცხოვრებელზე 2003 წელს

⁵⁸ 1,000,000 ჰექტარი, 2004 წლის მონაცემი

⁵⁹ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის %, 2004 წლის მონაცემები

⁶⁰ მშპ-ს %, 2004 წლის მონაცემები

⁶¹ GBAORD - Government budget appropriations or outlays on R&D. ესაა მთავრობის კმ (კვლევისა და შემუშავებაზე) მთლიანი ხარჯები. შესაბამისად, ამ სვეტში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო კვლევაზე მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების წილი მთლიან კმ ხარჯებში.

რაიმე კანონზომიერების დანახვა ძნელია, მაგრამ ერთი რამ შეინიშნება – ყველგან აგროკვლევის წილი საერთო კვლევაში აღემატება აგროსექტორის წილს ეკონომიკაში. როდესაც ეროვნულ აგროკვლევებზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალ ქვეყანაში მათ დაფინანსებაში როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული მთავრობები მონაწილეობენ. ეს საკითხი რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის არ ობში განვიხილოთ.

4.3. საკონსულტაციო სამსახურები ფერმერებისთვის

ევროპული გაერთიანებული კვლევითი ცენტრის (JRC, იხ. სქოლიო 39) მონაცემების თანახმად, თავი 2-ში ნახსენები სამსახურების უმრავლესობა დაფინანსებული იყო ევროკავშირის სოფლის განვითარების პროგრამიდან. ამავე დროს, ეს საკონსულტაციო სამსახურები უფრო ფერმერობის სისტემების შესახებ მონაცემების გავრცელებაზე არიან კონცენტრირებულნი, ვიდრე ინდივიდუალური ფერმების პრობლემებზე⁶⁵.

ინდივიდუალური ფერმების პრობლემების გადაწყვეტას ეხმარებიან ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ტრადიციული საკონსულტაციო სამსახურები. ევროპაში შედარებით ნაკლებად ხმარობენ მსოფლიოში გავრცელებულ ტერმინს *agricultural extension*, უფრო ხშირად – *agricultural advisory service*. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი სამსახურები 100 წელზე მეტს ითვლიან (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, დანია, გერმანია). უმთავრესი ამოცანაა თანამედროვე მეცნიერების მიღწევების საფუძველზე დაეხმარონ მათ მახლობლად მყოფ ფერმებს ტექნოლოგიური თუ მენეჯმენტის პრობლემების გადაწყვეტაში. თემატური ჩარჩოები ამჟამად გაცდა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ ვიწრო ცნებას (ზემოთ აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცნების შესაბამისად) და გარემოსდაცვით, სოფლის განვითარების, ჯანმრთელობის საკითხებსაც მოიცავს. მრავალფეროვანია სამსახურების ორგანიზაციული ფორმებიც. დამოუკიდებელი სამსახურები, სამსახურების ქსელები, უნივერსიტეტებთან ან საჯარო კვლევით ორგანიზაციებთან არსებული სამსახურები. ისინი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციები.

⁶⁵ Advisory services. *Sustainable agriculture and soil conservation. Soil-relevant policies*. JRC, Fact sheet no. 10, May 2009 (<http://soco.jrc.ec.europa.eu/documents/ENFactSheet-10.pdf>)

მაგალითი – დანია, ერთიანი ეროვნული საკონსულტაციო სამსახური

დანიური სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახური (*The Danish Agricultural Advisory Service - DAAS*)⁶⁶ ერთერთი საუკეთესოა ევროპაში. ესაა 36 ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრის პარტნიორული გაერთიანება რომელშიც შედის მათი მოთავე ორგანიზაცია – ეროვნული ცენტრი. ამ უნიკალური ორდონიანი სისტემის მფლობელები და მომხმარებლები დანიის ფერმერები არიან. იგი 1875 წელს შეიქმნა, როდესაც ფერმერულმა ორგანიზაციებმა დაიწვეს კონსულტანტების დაქირავება. ამჟამად სისტემა 3,500 დაქირავებულ პროფესიონალს ითვლის. ადგილობრივი ცენტრების ქსელი მთელ დანიას ფარავს. ეროვნული ცენტრი აწარმოებს კვლევებს ადგილობრივი ცენტრების დაკვეთით და, აგრეთვე, დაყავს ცენტრებამდე სხვა სამეცნიერო ცენტრების მიღწევები.

სამსახური კერძო ორგანიზაციაა, რომელიც საწევროებითა და მომსახურებით უნდა არსებობდეს. სინამდვილეში მისი შემოსავლის 30% - გრანტებია (დანიისა და ადგილობრივი მთავრობებისგან და ევროკავშირიდან).

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, დანიაში და ფინეთში შექმნილია ერთიანი ეროვნული საკონსულტაციო სამსახურები. დანიაში იგი კერძოა, ფინეთში – სახელმწიფო. ქვეყნებში მსხვილი ტერიტორიული დაყოფით, მაგალითად, გერმანიაში, ყოველი ადმინისტრაციული ერთეული თვითონ წყვეტს, თუ როგორ განავითაროს სამსახური (ამას ქვემოთ ვნახავთ).

საკონსულტაციო სამსახურების სისტემა თვითონაა კვლევის საგანი. სამეცნიერო ლიტერატურაში გაანალიზებულია როგორც საკონსულტაციო სამსახურების მოქმედების გარემო, ასევე მათი ორგანიზაციული ფორმების ცვლილების ტენდენციები. კერძოდ, მკვლევართა შემფოთებას იწვევს ევროპაში ამ სამსახურების კომერციალიზაციის ტენდენცია (განსხვავებით აშშ-გან, სადაც ისინი მთლიანად უნივერსიტეტებზეა დაფუძნებული)⁶⁷.

⁶⁶ www.landscentret.dk/English/English.htm

⁶⁷ Labarthe, Pierre. Extension services and multifunctional agriculture. Lessons learnt from the French and Dutch contexts and approaches. *Journal of Environmental Management*, Volume 90, Supplement 2, May 2009, Pages S193-S202

5. რეგიონული საინოვაციო სისტემები

ევროპის რეგიონების (ამ შემთხვევაში ქვეყნების ნაწილების) სასოფლო-სამეურნეო სისტემები და პოლიტიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას წარმოადგენს რეგიონი ადმინისტრაციულად - არის იგი ფედერალურად მოწყობილი ქვეყნის ავტონომური ტერიტორიული ნაწილი, თუ უბრალოდ ოლქი ან საგრაფო (რაიონი), - და, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო პროფილის თვალსაზრისით. ამ განსხვავებებს ემატება ახალმიღებული ევროკავშირის წევრების ს/მ განსხვავებები ძველი წევრების სოფლის მეურნეობისგან, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. შესაბამისად, ევროკავშირში გვხვდება რეგიონულ დონეზე მეცნიერების, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ფერმერთა კონსულტირების მრავალფეროვანი სქემები. საინოვაციო სისტემის შემადგენელი ნაწილები - რეგიონული კვლევითი ცენტრები, საკონსულტაციო სამსახურები და სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები მუშაობენ იმ პრობლემებზე, რომელიც კონკრეტული რეგიონისთვისაა აქტუალური. თუმცა, კვლევით თემატიკაში ზოგად პრობლემებთან დაკავშირებული თემატიკაცაა წარმოდგენილი გონივრული პროპორციით. ზოგჯერ, იმ საკითხებში (მაგალითად, გარკვეული ს/ს კულტურების სფეროში და სხვა), რომელშიც რეგიონული გამოცდილება განსაკუთრებით მაღალია, რეგიონული სისტემები/ცენტრები ეროვნულ და საერთაშორისო როლსაც თამაშობენ.

განვიხილოთ რეგიონული სასოფლო სამეურნეო საინოვაციო სისტემა ორი რეგიონის მაგალითზე: ბავარია (გერმანია) და სამხრეთ ტიროლი (იტალია).

ბავარიის ს/ს საინოვაციო სისტემა

ბავარიის თავისუფალი სახელმწიფო: მოსახლეობა 12.5 მლნ, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 1.2%, მრეწველობისა - 30%, მშპ სულზე - € 33,200 (2006). ბავარიას, ისევე როგორც გერმანიის სხვა მიწებს (რესპუბლიკებს) ფედერალური მიწის სტატუსი აქვს. მთავრობა, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნია, რამდენიმე სამინისტროსგან შესდგება. მისი მეთაურია პრემიერ-მინისტრი. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელია *სოფლის მეურნეობისა და მეტყვევების სამინისტრო*⁶⁸.

⁶⁸ Staatsministeriums für Ernährung, Landwirtschaft und Forsten (<http://www.stmelf.bayern.de>)

აგროკვლევის სისტემა. სამინისტროს დაქვემდებარებაშია მძლავრი ბავარიის სახელმწიფო სასოფლო-სასოფლო სამეურნეო კვლევითი ცენტრი, რომელშიც 10 კვლევითი ინსტიტუტია გაერთიანებული: ს/ს ეკოლოგიის, ორგანული ფერმერობისა და ნიადაგის დაცვის; მემცენარეობისა და მცენარეთა ახალი ჯიშების; მანებლებთან ბრძოლის; მეცხოველეობისა და ცხოველთა ჯიშების; ცხოველთა კვებისა და საკვების მართვის; მეთევზეობის; აგროინჟინერიისა და მეცხოველეობის; სოფლის განვითარების, ბიზნესის ეკონომიკისა და ს/ს საინფორმაციო ტექნოლოგიების; კვების სამეცნიერო პრობლემებისა და მარკეტინგის; მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მანქნების. ყველა ინსტიტუტი ქ. ფრაიზინგშია (*Freising*) თავმოყრილი. გარდა ამისა, ცენტრის შემადგენლობაშია: უწყებრივი ხარისხის უზრუნველყოფისა და შესწავლის სისტემა; სწავლების, გამოცდისა და მერძევეობის ფერმების სპეციალიზებული ცენტრი; სწავლების, გამოცდისა და ეკო-ფერმერობის სპეციალიზებული ცენტრი; სწავლების, გამოცდისა და მეფრინველეობისა და წვრილი ცხოველების სპეციალიზებული ცენტრი; სვიის კვლევის ცენტრი (ეროვნული). სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, აგრეთვე, ტექნოლოგიისა და ინოვაციის ცენტრი, რომელიც კვლევითი ცენტრის ინსტიტუტებთან კომერციალიზაციის ეტაპზე თანამშრომლობს და კერძო ორგანიზაციებსაც იზიდავს.

უმაღლესი სკოლა. იმავე ქ. ფრაიზინგში მდებარეობს *გამოყენებითი მეცნიერების სახელმწიფო უნივერსიტეტი* (4,000 სტუდენტი), სპეციალიზაციით: სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა (დაარსებული 1805 წელს) (www.hswt.de/) და *მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიომეცნიერებათა განყოფილება* (3000 სტუდენტი) (<http://www.tu-muenchen.de/>). უნივერსიტეტები ბავარიის მეცნიერების, კვლევისა და ხელოვნების სამინისტროს ექვემდებარებიან. მათ ფართო კვლევითი პროგრამები, საცდელი და სასწავლო მეურნეობები გააჩნიათ.

ბავარიის სახელმწიფო სასოფლო-სასოფლო სამეურნეო კვლევითი ცენტრი ორი უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო სიმძლავრეებთან ერთად ქმნის ბავარიის აგროკვლევის კლასტერს. ცენტრების დასახელებიდანაც ანს, რომ ბავარიაში აგროკვლევა ფართოდაა გაგებული: წარმოება – ეკოლოგია – სოფლის განვითარება. ამ თვალსაზრისით იგი სავსებით პასუხობს ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე აგროკვლევის ფილოსოფიას. ამავე დროს,

აქცენტები ბავარიულ აგროკვლევაში დასმულია ბავარიის სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე (მაგალითად სვიის კვლევა).

საკონსულტაციო სამსახური⁶⁹. ბავარიაში საკონსულტაციო სამსახური სახელმწიფოა და სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტროს ექვემდებარება. მისი ისტორია 1897 წელს დაიწყო, როდესაც "მოხეტიალე მასწავლებლები" (ს/ს მრ ეველები) აყვანილ იქნენ სახელმწიფო სამსახურში. 2003 წლის მონაცემებით ბავარიაში დაახლოებით 570 კონსულტანტია. მათი განაწილება მოყვანილია ცხრილში 5.1. საკონსულტაციო სამსახურები სოფლის განვითარების საკითხებზეც მუშაობენ.

ცხრილი 5.1. კონსულტანტების განაწილება ს/მ დარგების მიხედვით

(ბავარია, 2003წ)

ფერმების ტიპი	ჯგუფების რაოდენობა	კონსულტანტების რაოდენობა
მოსავლის მოყვანა	27	120
აგროეკოლოგია და ნიადაგი	7	14
სპეციალური მცენარეების მოყვანა, მცენარეთა დაცვა და გამოკვლევა	7	66
რძის წარმოება	30	130
საქონლის მოსუქება	4	15
საქონლის სელექცია	10	70
ღორის გაზრდა	9	45
ორგანული ფერმერობა	4	10
მაღალმთიანი ფერმერობა	2	?
ცხვარი და სხვა წვრილფეხა საქონელი	2	5
ცხენების მოვლა	2	6
მებაღეობა	4	50

⁶⁹ ჩვენ ვისარგებლეთ ანგარიშით, რომელიც განთავსებულია საიტზე

http://www.agroextension.net/attachments/AAC_Bavaria.doc

კონსულტანტები, როგორც სახელმწიფო მოხელეები, მომსახურებისთვის გასამრჯელოს არ იღებენ. საკონსულტაციო სამსახურებთან დაკავშირებული დაახლოებით 50 პროფესიული გადამზადების სკოლა. კონსულტანტების გადარ ევისა და მომზადების, გამოცდების აბარების სისტემა მკაცრია. ისინი ყოველწლიურად ერთკვირიან გადამზადებას გადიან *სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან* შექმნილ სპეციალურ *ელიტის მომზადების სახელმწიფო ინსტიტუტში*. კვლევითი და საკონსულტაციო სისტემები ერთად ქმნიან ინოვაციის ინსტრუმენტს, რომელიც ცოდნის უწყვეტი ჯაჭვის მოქმედებას უზრუნველყოფს.

კლასტერული ინციატივა. *სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის სამინისტროს* ინციატივით ბავარიაში რამდენიმე საწარმო-სამეცნიერო კლასტერია განვითარებული: მათ შორის რძის, ხორცის, ღვინის, ლუდისა და სხვა. სამეცნიერო ცენტრი ფრაიზინგში მრავალ მათგანში მონაწილეობს.

***ბოლცანოს ავტონომიური პროვინცია – ალტო ადიჯე (სამხრეთ ტიროლი)*⁷⁰**

ბოლცანოს ავტონომიური პროვინცია იტალიის ავტონომიური ოლქია, რომელსაც გუბერნატორი მართავს. სოფლის მეურნეობა შეადგენს მშპ-ს 3.6%. მრეწველობა - 20%. მოსახლეობა - 500,000 ადამიანი, ტერიტორიის 64% განლაგებულია ზღვის დონიდან 1500 მ მაღლა. მშპ სულზე - 32,000€.

ბოლცანოს პროვინციის სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა ძირითადად ეყრდნობა *ლამბურგის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის კვლევით ცენტრს*⁷¹ და *სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახურს*⁷².

კვლევითი ცენტრი ექვემდებარება პროვინციის *სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის დეპარტამენტს*, ანუ სახელმწიფო ორგანიზაციაა. ცენტრი აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას, საველე ექსპერიმენტებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების მისაღებად პროვინციის ს/მ გაუმჯობესების მიზნით. სახსრების 39%-ს მას პროვინციის მთავრობა აძლევს, 1% - იტალიის ცენტრალური მთავრობა, დანარ ენს შეადგენენ გრანტები (ევროკავშირის, იტალიის მთავრობის და სხვა) და საკუთარი სახსრები.

⁷⁰ Autonomous province of Bolzano – Alto Adige (South Tyrol)

⁷¹ Research Centre for Agriculture and Forestry Laimburg (www.laimburg.it)

⁷² South Tyrolean Advisory Service (www.beratungsring.org)

ეს უკანასკნელი შედგება ბოლცანოს ოლქის საკუთრებაში მყოფი და ცენტრისთვის მართვაში გადაცემული 36 მიწის ნაკვეთისა და მათზე განლაგებული უძრავი ქონების ექსპლუატაციიდან მიღებული სახსრებისგან და, აგრეთვე, საკუთარი ღვინის ქარხნიდან, სანერგიდან, თევზის გამრავლების სადგურიდან და რამდენიმე მექანიკური საამქროდან მიღებული სახსრებისგან. ცენტრში 200 მუშაკია. კიდევ 100 მედმივი თანამშრომელი და 150 სეზონური მუშაობს საცდელ ფერმებზე.

აღნიშნული ნაკვეთები სხვადასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ ზონაში განლაგებულ საცდელ-სადემონსტრაციო ფერმებს წარმოადგენენ. ერთი ნაკვეთი ბოტანიკური ბაღია. მათ ცენტრის მუშაკები იყენებენ ექსპერიმენტებისთვის, პროფსასწავლებლის სტუდენტები – პრაქტიკისთვის. ფერმების პროდუქცია მრავალფეროვანია – რძე, თაფლი, თევზი, ხილი, ყურძენი, სამედიცინო ბალახები, ღვინო.

ცენტრი ინფორმაციას აწვდის *ს/ს კონსულტანტებსა* და ფერმერებს კურსების, სემინარებისა და გამოცემების მეშვეობით. ცენტრს გაა ნია საკუთარი *მეხილეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის პროფესიული სასწავლებელი*.

სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახური (*South Tyrolean Advisory Service*) წარმოადგენს ამხანაგობას, რომელშიც 6000 მეტი წევრია გაერთიანებული. *სამსახური* ეყრდნობა როგორც კვლევითი ცენტრის მიღწევებს, ასევე ცოდნის გარე წყაროებს. მისი მუშაობის მთავარი მიმართულებებია მებაღეობა (უმთავრესად ვაშლის კულტურა) და მევენახეობა-მეღვინეობა. კონსულტაციების მიღება შეიძლება არა მხოლოდ კონსულტანტთან პირადი შეხვედრით, არამედ ტელეფონითაც, SMS-ით ან ინტერნეტით. სამსახური არსებობს საწევროებისა და მთავრობის (44%) ხარჯებით. მისი თანამშრომელთა რიცხვი 40-ს აღემატება.

ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტი, რომლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი სპეციალიზებულია სოფლის მეურნეობაზე (განსაკუთრებით ბოლცანოს ოლქისთვის პროფილურ მეხილეობაზე), ხოლო მისი კვლევითი სამუშაოები სოფლის მეურნეობის გარემოსდაცვით ასპექტებს ეხება.

სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა სამხრეთ ტიროლში ეხება ს/ს წარმოების საკითხთა ძალიან ფართო წრეს: მოსავლის მოყვანა, ჯიშების შერევა, მავნებლებთან ბრძოლა, ნიადაგის დაცვა, მოსავლის შენახვა და გადამუშავება,

ყინვებისა და გვალვისგან დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები (საფორმო და ადგილწარმოშობის ნიშნები), მარკეტინგის ახალი ფორმები და სხვა. მის მუშაობაში სხვადასხვა პროფესიული გაერთიანებები დიდ როლს თამაშობენ. ამის გარეშე რთული ინოვაციური ღონისძიებები პროვინციაში საკმაო მასშტაბით ვერ ხორციელდება. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულმა ყველაზე მნიშვნელოვანმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შექმნეს გაერთიანება AGRIOS⁷³, რომელმაც მოახერხა პროვინციაში *ინტეგრირებული ვაშლის წარმოების სისტემის* დანერგვა. სისტემა გულისხმობს ვაშლის წარმოების მიმართ ყველა ფერმერის მხრიდან ერთიან მიდგომას და ერთიანი მაღალი სტანდარტების დაცვას მავნებლებთან ბრძოლით დაწყებული და მარკეტინგით დამთავრებული. ამ გაერთიანებაში შევიდნენ *პროვინციის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის დეპარტამენტი, ლამბურვის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის კვლევითი ცენტრი, სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახური, მეხილეობის კავშირი სამხრეთ ტიროლი, სამხრეთ ტიროლის ხილის აუქციონების მხარდამჭერი ორგანიზაცია, სამხრეთ ტიროლის ფერმერთა ალიანსი, კავშირი სამხრეთ ტიროლის ახალგაზრდა ფერმერები, უშუალო მეწარმეთა ფედერაცია. ინტეგრირებული სისტემის* მოთხოვნები ბოლცანოს პროვინციაში ადგილობრივი კანონია⁷⁴. წლების განმავლობაში სიტემა გაიზარდა და ამჟამად ბოლცანომ დაიკავა ევროპის ვაშლის წარმოებაში 7%, გააფართოვა ექსპორტი, შეამცირა მარკეტინგული ხარჯები, დაამკვიდრა რა მსოფლიოში ადგილწარმოშობის ნიშანი *ვაშლი ბოლცანოდან*, რომლითაც ადგილობრივი ფერმერები სარგებლობენ. ფაქტიურად ბოლცანოში შეიქმნა ინოვაციური ვიწროსპეციალიზებული მეხილეობის კლასტერი.

მიუხედავად მიღწევებისა, საინოვაციო სისტემის მონაწილენი თვლიან, რომ რეგიონული ამოცანების გადაწყვეტაში საკმაო სიძნელეებია. პირველ რიგში აღინიშნება გარე წყაროებიდან ისეთი კვლევითი სამუშაოების უხვი დაფინანსება, რომლებიც არაა დაკავშირებული პროვინციის პრობლემებთან, ისეთებთან, როგორცაა მცირე სამთო ფერმების ამოცანები და სხვა. გარდა ამისა, გარე

⁷³ www.agrios.it

⁷⁴ The Autonomous province of Bolzano. Provincial Law no. 12/April 4th 1991.

დაფინანსება მოკლევადიანია, რაც გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტას უშლის ხელს⁷⁵.

მოყვანილი მაგალითები გვა ვენებს მსგავსებასა და განსხვავებას ორ წარმატებულ რეგიონულ ს/ს საინოვაციო სისტემას შორის. ევროკავშირის სხვა ქვეყნების რეგიონებშიც მრავლადაა საინოვაციო სისტემების დადებითი გამოცდილება, მათ შორის გარდამავალი/დამწვევი ეკონომიკის ქვეყნებშიც. მათ არქიტექტურაში იმდენი განსხვავებაა, რომ მოკლე მიმოხილვის არ ოებში მათი აღწერა ძნელია. ქართველი მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, ვენ ვამჯობინეთ ორი სისტემის შედარებით დეტალური აღწერა, ვიდრე მრავალი მათგანის მოხსენიება.

5. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ხედვა შემდეგი ათწლეულისთვის *ესპ* ცვლილებაზე და მის მიზნებზე ბოლომდე ამოყალიბებული არაა, როგორც ანს, მოხდება უკვე არსებული ტენდენციების შემდგომი გაძლიერება. კერძოდ, *ესპ* მხარს დაუჭერს:

- მდგრადი ს/მ განვითარებას, რომელიც ერთდროულად გარემოს დაცვას, ცხოველთა ჯანმრთელობას და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას გულისხმობს;
- ფერმერების, როგორც საზოგადოებისთვის სასარგებლო პროდუქტის მიმწოდებლების, მრავალფუნქციურ როლს;
- სოფლად ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას;
- კონკურენტუნარიან და ინოვაციურ ს/ს სექტორს, რომელიც შეძლებს უპასუხოს მსოფლიო ბაზრის გამოწვევებს.

კლიმატის ცვლილება, აგროსექტორი და გარემოს დაცვა, ინოვაციები აგროსექტორში, სოფლის განვითარება, ბიოენერჯია, სურსათის უვნებლობა და სასურსათო უსაფრთხოება, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემები, პროგნოზის

⁷⁵ Josef Dalla Via. Research at the Research Center for Agriculture and Forestry LAIMBURG. (www.eufrin.obstpage.de/Documents/Laimburg.pdf)

თანახმად, იქნება ევროპული აგროსაინოვაციო სისტემის დღის წესრიგში⁷⁶. აგროსაინოვაციო სისტემის როლი გამოწვევების ფონზე გაიზრდება.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა იცვლება და გააგრძელებს ცვლილებას კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სტიმულირებიდან (ცალკე გამონაკლისების გარდა, როგორცაა ბიოსაწვავი) საინოვაციო ღონისძიებების სტიმულირებისკენ (როგორცაა გარემოსდაცვითი, სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების და სხვა სტანდარტების დაცვა). მომავალ ათწლეულში გაძლიერდება სოფლის განვითარების (არა სასოფლო-სამეურნეო) საინოვაციო ღონისძიებები, როგორცაა წარმოებისა და მომსახურების (კავშირგაბმულობის, ტურიზმის, ძველთა დაცვის, ლანდშაფტის დაგეგმვის და სხვა) განვითარება. ასეთი სცენარი ზრდის აგრარულ სფეროში ცოდნის სიტემის ყველა კომპონენტის მნიშვნელობას: განათლების, კვლევის, კომერციალიზებადი ცოდნის დაგროვებისა და გადაცემის.

ევროპული აგროსაინოვაციო სისტემა საერთაშორისო აგრო-სასურსათო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში გააგრძელებს საკუთარი წვლილის შეტანას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სასურსათო და სხვა სოფელთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, გლობალური მშვიდობისა და კეთილდღეობის საქმეში ევროპის პასუხისმგებლობის შესაბამისად. ეს როგორც ევროკომისიის, ასევე წევრი ქვეყნების ღონისძიებების მეშვეობით ხორციელდება.

ევროპის სოფლის მეურნეობა, მისი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მეშვეობით, ტრადიციულად დიდ და პოზიტიურ როლს თამაშობს ევროინტეგრაციის წარმატებაში. ამ როლის გაძლიერება ტრანსნაციონალური კვლევების ეროვნული სახსრების ხარჯზე დაგეგმვის, კოორდინაციის, შესრულებისა და შედეგების ერთობლივი გამოყენების გზით ხდება, რაც არც არც კვლევითი პროგრამების ინსტრუმენტებთან ერთად, შემდგომი, უფრო ღრმა ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.

⁷⁶ Gianluca Brunori, Janice Jiggins, Rosa Gallardo, Otto Schmidt. New challenges for agricultural research: climate change, food security, rural development, agricultural knowledge systems. EU Commission - Standing Committee on Agricultural Research (SCAR). The 2nd SCAR Foresight Exercise SYNTHESIS REPORT, December 2008. pp. 105

ლიტერატურა

- 20 20 by 2020. Europe's climate change opportunity Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COM(2008) 30 final. 23.01.2008. European Commission: Brussels.
- 2986th Council meeting. Agriculture and Fisheries. Brussels, 14-16 December 2009. COUNCIL OF THE EUROPEAN UNION. PRESS RELEASE, 17488/09 (Presse 375)
- Advisory services. *Sustainable agriculture and soil conservation. Soil-relevant policies*. JRC, Fact sheet no. 10, May 2009 (<http://soco.jrc.ec.europa.eu/documents/ENFactSheet-10.pdf>)
- ANDERSON, KYM and JOSLING, TIM. The EU's Common Agricultural Policy at Fifty: An International Perspective. CEPR POLICY INSIGHT No. 13, SEPTEMBER 2007. (<http://www.cepr.org/pubs/policyinsights/PolicyInsight13.pdf>)
- Arnold, E. and Bell, M. *Some new ideas about research for development*, in Partnerships at the leading edge: A Danish view for knowledge, research and development. Report of the Commission on Development-Related Research. Danida, Ministry of Foreign affairs, Copenhagen, 2001.
- Brunori Gianluca, Jiggins Janice, Gallardo Rosa, Schmidt Otto*. New challenges for agricultural research: climate change, food security, rural development, agricultural knowledge systems. EU Commission - Standing Committee on Agricultural Research (SCAR). The 2nd SCAR Foresight Exercise SYNTHESIS REPORT, December 2008. pp. 105
- Commission Communication on the Strategic European Framework for International S&T. COM(2008) 588 final, 24.09.2008
- COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT on an EU Forest Action Plan. Brussels, 15.6.2006. {SEC(2006) 748} COM(2006) 302 final
- COUNCIL REGULATION (EC) No 1268/1999 of 21 June 1999 on Community support for pre-accession measures for agriculture and rural development in the applicant countries of central and eastern Europe in the pre-accession period. Official Journal of the European Communities, L 161/87, 26.6.1999
- Council Regulation (EC) No 1698/2005 of 20 September 2005 on support for rural development by the European Agricultural Fund for Rural Development (EAFRD).
- Council Regulation (EC) No 834/2007 of 28 June 2007 on organic production and labelling of organic products and repealing Regulation (EEC) No 2092/91, OJ L 189
- David J. Spielman, Regina Birner*. How Innovative Is Your Agriculture? Using Innovation Indicators and Benchmarks to strengthen National Agricultural Innovation Systems. Agriculture and Rural Development, Discussion Paper 41, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2008. pp. 47
- Directive 2003/30/EC on the Promotion of the Use of Biofuels or Other Renewable Fuels for Transport. OJ L 123, 17.5.2003
- European Council meeting in Göteborg in 2001. *Presidency Conclusions – Göteborg, 15 and 16 June 2001*. SN 200/01 (consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/.../ec/00200-r1.en1.pdf)
- European Fisheries Fund. Council Regulation (EC) No 1198/2006 of 27 July 2006 on the European Fisheries

Fund.

Farm Advisory System. COUNCIL REGULATION (EC) No 1782/2003 of 29 September 2003. Official Journal of the European Union, 21.10.2003, EN L 270/10

Labarthe, Pierre. Extension services and multifunctional agriculture. Lessons learnt from the French and Dutch contexts and approaches. Journal of Environmental Management, Volume 90, Supplement 2, May 2009, Pages S193-S202

Michelsen, Johannes. A Europeanization deficit? The impact of EU organic agriculture regulations on new member states. Journal of European Public Policy 15:1 January 2008: 117–134.

Overview of the agri-food research landscape in Europe. Agri-Food Research in Europe: Final report. Annex 2. EU AGRI MAPPING Project, December 2007 (http://www.europartnersearch.net/eu-agri-mapping/index.php?page=Document_library)

Proceedings of the Conference *Towards Future Challenges of Agricultural Research in Europe*, Brussels, 26-27 June 2007. European Commission, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2007. 48pp.

Putting rural development to work for jobs and growth. Special Edition Newsletter. Directorate-General for Agriculture and Rural Development, European Commission, 2005 (http://ec.europa.eu/agriculture/publi/newsletter/lisbon/special_en.pdf)

Regulation (EEC) No. 2092/91. of 24 June 1991 on organic production of agricultural products and indications referring thereto on agricultural products and foodstuffs (OJ L 198, 22.7.1991, p. 1)

Sara J. Scherr and Sajal Sthapit. Worldwatch Report: Mitigating Climate Change Through Food and Land Use. Worldwatch Report 179. Worldwatch Institute June 2009, pp. 50. (<http://www.worldwatch.org/node/>)

Supporting developing countries in coping with the crisis. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES. Brussels, 8.4.2009 COM(2009) 160 final {SEC(2009) 442}{SEC(2009) 443}{SEC(2009) 444}{SEC(2009) 445}

Swinnen, J. Eastern Enlargement of the EU and its Implications for Agriculture and Agricultural Policies. Acta Agric. Scand., Sect. C, Food Economics 1: 5_ 11, 2004. # 2004 Taylor & Francis.

Tackling the challenge of rising food prices - Directions for EU action. Commission COM(2008) 321 final

The Autonomous province of Bolzano. Provincial Law no. 12/April 4th 1991

The Common Agricultural Policy Explained. European Commission, DG Agriculture and Rural Development, Publications Office, Brussels, 2008. pp.19. (<http://ec.europa.eu/agriculture/>)

THE EU RURAL DEVELOPMENT POLICY 2007–2013. European Commission Directorate-General for Agriculture and Rural Development. EU Publications Office, 2006. (http://ec.europa.eu/agriculture/publi/fact/rurdev2007/en_2007.pdf)

The European Initiative for Agricultural Research for Development (EIARD). COM(97)126

The Manifesto of the Government of the Slovak Republic. 2.4. Agriculture. (<http://www.slovakia.sk/9802/24-agriculture.php>)

Towards a coherent strategy for a European Agricultural Research Agenda. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND

SOCIALCOMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, COM(2008)xxxx, {SEC(2008)yyyy}

TOWARDS JOINT PROGRAMMING IN RESEARCH: Working together to tackle common challenges more effectively.{COM(2008) 468}